გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საელჩო
თბილისი

## ვიზა ტურისტული ვიზიტებისთვის

## (დანიშნულების ადგილი - გერმანია, ესპანეთი, პორტუგალია და ფინეთი)

განაცხადის შემოტანისას შენგენის ვიზის მისაღებად გერმანიაში **ტურისტული ვიზიტით** გამგზავრების მიზნით გთხოვთ წარმოადგინოთ შემდეგი საბუთები:

**(საბუთების არასრულყოფილი სახით წარმოდგენა არის განაცხადის მიღებაზე უარის თქმის მიზეზი! ასეთ შემთხვევაში განმცხადებელმა ხელახლა უნდა შეათანხმოს განაცხადის შემოტანის თარიღი და საათი!)**

- პასპორტი (რომელსაც მოქმედების ვადა სულ მცირე 6 თვე აქვს) და ამავე პასპორტის ფოტოსურათიანი გვერდის 1 ასლი;
- ორი სრულყოფილად შევსებული ანკეტა (ინგლისურ ან გერმანულ ენაზე);
- 2 ბიომეტრული ფოტოსურათი (გადაღებული ბოლო ერთი წლის განმავლობაში);
- სასტუმროს ჯავშანი და სამგზავრო ბილეთის ჯავშანი
- ავადმყოფობისა და უბედური შემთხვევების კერძო დაზღვევის ორიგინალი + 1 ასლი;
- 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის: ბავშვის დაბადების მოწმობა და მშობლების წერილობითი თანხმობა + თარგმანი და 1 ასლი.
- ცნობა სამუშაო ადგილიდან ხელფასის ჩვენებით + თარგმანი;
- სამშობლოში მყარი ფინანსური მდგომარეობის დამადასტურებელი რაიმე საბუთი მაგ. ბოლო 3 თვის ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან, საპენსიო მოწმობა, ქირავნობის ხელშეკრულებები, საბუთი მიწის ნაკვეთის/ბინის საკუთრების შესახებ...) + თარმანი და 1 ასლი;
- ქორწინების მოწმობა, ასევე შესაბამისად არასრულწლოვანი ბავშვების დაბადების მოწმობები ორიგინალის სახით + თარგმანი და 1 ასლი.

### შენიშვნები:

- საკონსულოში სავიზო განაცხადის ფორმა **უფასოდ** გაიცემა;
- ცალკეულ შემთხვევებში ვიტოვებთ უფლებას, მოვითხოვოთ დამატებითი დოკუმენტაცია;
- განაცხადის შემოტანა ხდება მხოლოდ უშუალოდ განმცხადებლის მიერ;
- ვიზის მიღება არ წარმოადგენს შენგენის ხელშეკრულების წევრ ქვეყნებში შესვლაზე სამართლებრივი პრეტენზიის საფუძველს.
- სავიზო გადასახადის (60,-ევრო) გადახდა წარმოებს განაცხადის შემოტანისას ლარში, იმ დღის ოფიციალური კურსით.

### განაცხადის შემოტანა ვიზის მისაღებად

- სავიზო განაცხადის შემოსატანად **აუცილებელია** წინასწარ თარიღისა და საათის შეთანხმება: ტელ. 890 007 001, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 09.00-18.00სთ; (ერთი სატელეფონო ზარის ღირებულება 3 ლარია)
- განაცხადების ჩაბარება წარმორბს ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით, 9.00-13.00სთ;
- პარასკევს 9.00-12.00სთ;
- ტელეფონით ინფორმაციების მიღება შესაძლებელია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 9:00-13.00სთ., ტელ: 435-399